ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3501125

ნომერი: AR1534711

თარიღი : 22.08.2017

გაცემის თარიღი : 30.08.2017

გაცნობის თარიღი : 11.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

დ. აღმაშენებლის ქ. #18-20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ოქროპირიძე პ/ნ 01017037231
- თბილისი ვ.ანჯაფარიძის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 22.08.2017წ. AR1534711 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დ.

აღმაშენებლის გამზ. N18-20-ის მიმდებარედ, არსებულ ტერიტორიაზე ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ რომ:

ვინაიდან წარმოდგენილი ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, წარმოდგენილი ესკიზი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ (დოკუმენტი №3491859) მათი გადაწყვეტილების შესაბამისად მიეცა უარყოფითი შეფასება ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დ. აღმაშენებლის გამზ. N18-20 -ის მიმდებარედ, არსებულ ტერიტორიაზე ღია სეზონური საზაფხულო კაფეს მოწყობის წარმოდგენილ ვარიანტს –შემდეგი რეკომენდაციით: უარი ეთქვას ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N18-20-ში ღია სეზონური საზაფხულო კაფეს მოწყობას. რეკომენდაცია: დასაშვებია მსუბუქი ტიპის მაგიდებისა და სკამების განთავსება.
საკითხის ხელახლა განხილვის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის გეგმა და ფოტომონტაჟი ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.